



## საქართველოს მთავრობის განკარგულება

№806 2018 წლის 17 აპრილი ქ. თბილისი

საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობის კომპონენტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, „საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №375 დადგენილებით განსაზღვრული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობის კომპონენტის შეუფერხებლად და ეფექტურად განხორციელების მიზნით, ასევე აღნიშნული პროგრამის მაღალი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, დაევალოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალ სსიპ – გარემოს ეროვნულ სააგენტოს, სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და სსიპ – დაცული ტერიტორიების

სააგენტოს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და მის სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, ხოლო შესაბამის მუნიციპალიტეტებს, აგრეთვე სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“, სს „საქართველოს რკინიგზას“, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, შპს „ენერგოტრანსსა“ და აგრეთვე სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ სხვა საწარმოებს ეთხოვით, კომპეტენციის ფარგლებში, ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობის ხელშესაწყობად აუცილებელი ღონისძიებების, მათ შორის, ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის/ ინფრასტრუქტურის მშენებლობის ნებართვის გაცემისა და უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში საკუთრების რეგისტრაციისათვის აუცილებელი ღონისძიებების შეუფერხებლად და დაჩქარებულ ვადებში განხორციელება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის საჭირო ღონისძიებების კოორდინირება მუნიციპალიტეტებთან.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი

**საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობის კომპონენტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე**

**საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტზე**

**ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ**

ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი“ მიმდინარე წელს გეგმავს დაიწყოს ღია დაშვების პრინციპზე დამყარებული ფართოზოლოვანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობის კომპონენტის განხორციელება, რომელიც წარმოადგენს მაღალი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტს. კერძოდ, ფართოზოლოვანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება საშუალებას იძლევა, სამშენებლო არეალში არსებული დასახლებული პუნქტები, სადაც ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურა კერძო ოპერატორების მიერ არ არის მიყვანილი (ე.წ. „თეთრი ზონა“), სრულყოფილად დაიფაროს ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალებით, რათა ხელი შეეწყოს ადგილობრივი ოპერატორების მიერ საცალო ქსელის განვითარებას და ინტერნეტის აბონენტებამდე მიყვანას. შედეგად, მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახდება ინტერნეტი იქ, სადაც ამჟამად არ არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ფართოზოლოვანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტი და სამთავრობო პროგრამით განსაზღვრული რეფორმების ოთხპუნქტიანი გეგმის შემადგენელი ნაწილია. აღნიშნული გეგმა 2016 - 2020 წლებზეა გაწერილი და შესაბამისად, რეფორმების ოთხპუნქტიანი გეგმით განსაზღვრული ინტერნეტიზაციის პროგრამის შესრულებაც სწორედ ამ ვადებში უნდა მოხდეს.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მომზადება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ფართოზოლოვანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობის კომპონენტის ეფექტურად და დადგენილ ვადებში განხორციელების მიზნით, აუცილებელია ჩართული უწყებების მიერ კომპეტენციების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების კოორდინირებულად და შეუფერხებლად განხორციელება. კერძოდ, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-3 მუხლის 23-ე და 89-ე პუნქტების თანახმად ფართოზოლოვანი მაგისტრალი/ინფრასტრუქტურა (კავშირგაბმულობის ხაზი (ქსელი)) წარმოადგენს ხაზობრივი ნაგებობის სახეობას, რომლებიც რიგ შემთხვევებში არ საჭიროებს, მშენებლობის ნებართვას, რადგანაც ამავე დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით განეკუთვნება პირველი კლასის შენობა ნაგებობათა კატეგორიას. ამავდროულად, „საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №375 დადგენილების მე-18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში შექმნილი ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ააიპ ოუფენ ნეტის საკუთრებას, რაც გულისხმობს, რომ შექმნილი ინფრასტრუქტურა უნდა დაექვემდებაროს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციას. აღნიშნული მიზნით, საჭიროა, მშენებლობისათვის აუცილებელი ღონისძიებები, მათ შორის, მშენებლობის ნებართვის გაცემისა და აშენებული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ჩათვლით, სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელდეს მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში და შეუფერხებლად. ამავდროულად, იმის გათვალისწინებით, რომ ინფრასტრუქტურის ნაწილი უნდა განთავსდეს მუნიციპალიტეტებში, მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს მუნიციპალიტეტებთან დაუყოვნებლივი და ეფექტური კოორდინაცია მათი მხრიდან განსახორციელებელი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად.

ამასთან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტროს საქმიანობის სფეროს ფარგლებში სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპალიტეტებს შორის ურთიერთობის კოორდინაცია. აღნიშნული კომპეტენციის ფარგლებში, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ამავე სამინისტროს მიერ შესაბამისი ღონისძიებების კოორდინაციის უზრუნველყოფას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში.

### **პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება**

„საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობის კომპონენტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის სამომოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე.

ამასთან, განკარგულების პროექტით გათვალისწინებული მხარდაჭერის ღონისძიებები არ ითვალისწინებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული სუბიექტების მიმდინარე წლის ბიუჯეტებში და სამოქმედო გეგმებში დამატებითი ფინანსური რესურსის გამოყოფას.

### **პროექტის მოსალოდნელი შედეგები**

„საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობის კომპონენტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტის გამოცემის შედეგად, „საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობის კომპონენტი ჩართული უწყებების მიერ განხორციელდება კოორდინირებულად და მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში.

### **პროექტის განხორციელების ვადები**

განკარგულების პროექტით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება მოხდება „საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №375 დადგენილებით განსაზღვრული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობის პერიოდში.

### **განკარგულების პროექტის ავტორი და წარმდგენი**

„საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობის კომპონენტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტის ავტორია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ოუფენ ნეტი“, ხოლო წარმდგენი — საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.